



## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

დეკანი

ასოც. პროფ. გოდერძი ვაჭრიძე

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 7  
29 იანვარი 2009 წელი

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 7  
23 იანვარი 2009 წელი

საბაკალავრო პროგრამა

ჟურნალისტიკა

**1. პროგრამის დასახელება:**

ჟურნალისტიკა

**2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი (ჟურნალისტიკა)  
Bachelor of Social Sciences(Journalism)

**3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულების დასახელება:**საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჟურნალისტიკის დეპარტამენტი.

**4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

**• მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს პრაქტიკოსი ჟურნალისტი, ჟურნალიზმისა და მასობრივი კომუნიკაციების მკვლევარი, აზიაროს სტუდენტები მიზნის მისაღწევად აუცილებელ თეორიულ ცოდნას და შესძინოს მას პროფესიული მოღვაწეობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოკვლევა, დამუშავება, გადაცემა. ადეკვატურად უნდა ასახავდეს სინამდვილეს, მეტყველებდეს და წერდეს გამართულად, ერკვეოდეს მედიის მენეჯმენტსა და მარკეტინგში.

**• შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები**

**ზოგადი კომპეტენციები:**

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
- მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების/დიალოგის უნარი
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

**დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციები:**

- ინფორმაციის მოპოვების, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი უნარს;
- ინფორმაციის ბაზის შექმნის უნარს.
- ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრების საფუძვლიანი ცოდნა.
- უნდა ერკვეოდეს ქართული და დასავლური მასმედიის ისტორიასა და ჟურნალისტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებში;

**კურსდამთავრებული უნდა ახერხებდეს:**

- სინამდვილის გააზრებასა და ფაქტის შერჩევას;
- ტექსტის შექმნას;

- მოვლენების შეფასების მეთოდებს;
- რეპორტიორის მუშაობის სპეციფიკას;
- დასკვნათა გამოტანის ოსტობას;
- დებულებათა განზოგადების ხერხებს;
- დებულებების ფაქტების არგუმენტაციას;
- ფაქტთა შერჩევასა და მათი არსებითი მხარეების გამოყოფას;
- ფაქტთა შორის კავშირის დადგენას;
- ტენდენციის გამჟღავნების ხერხებს;
- დეტალზე მუშაობის სპეციფიკას;
- პროფესიული საქმიანობის დროს გამოიყენოს კომპიუტერული ტექნიკა;

- **დასაქმების სფეროები**

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ბეჭდვით მედიაში, რადიოსა და ტელევიზიაში, სახელმწიფო და ბიზნესორგანიზაციებში, პრესსამსახურებში, არასამთავრობო სექტორში.

## 5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს საქართველოს მოქალაქეებისათვის ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

6.პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლაზ.	კრედი-ტა-რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა	
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
<b>პროგრამის სავალდებულო კურსები (150 კრედიტი)</b>														
1	უცხო ენა	3	0.3.0.0	20	5	5	5	5						
2	აკადემიური წერა	3	0.3.0.0	5	5									
3	ისტრულ მეცნიერებათა შესავალი	3	2.1.0.0	5	5									
4	მასობრივი კომუნიკაციების შესავალი	3	2.1.0.0	5	5									
5	ფილოსოფიის შესავალი	3	2.1.0.0	5	5									
6	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	3	2.1.0.0	5	5									
7	ჟურნალისტიკის საფუძვლები	3	2.1.0.0	5		5								
8	მედიამენეჯმენტი	3	2.1.0.0	5		5								
9	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	3	2.1.0.0	5		5								
10	სტილისტიკა	3	2.1.0.0	5		5								
11	მართლმეტყველება	3	2.1.0.0	5		5								
12	სტრატეგიული წერა	3	2.1.0.0	5			5							
13	ქართული ლიტერატურა	3	2.1.0.0					5						
14	ინფორმაციული ჟურნალისტიკა	3	2.1.0.0	5			5							
15	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	3	2.1.0.0	5				5						
16	დებატები	3	2.1.0.0	5						5				
17	დასვლური მედია	3	2.1.0.0	5							5			
18	პროფესიული ეთიკა	3	2.1.0.0	5								5		
19	რედაქტირება	3	2.1.0.0	5					5					
20	პუბლიცისტიკა	3	2.1.0.0	5						5				
21	სტუდენტური ჟურნალი	3	2.1.0.0	5						5				
22	სტუდენტური გაზეთი	3	2.1.0.0	5					5					
23	რადიოჟურნალისტიკა	3	2.1.0.0	5							5			

24	ტელეჟურნალისტიკა	3	2.1.0.0	5							5	
25	სამაუწყებლო ახალი ამბები	3	2.1.0.0	5							5	
26	კონფლიქტოლოგია დაჟურნალისტიკა	3	2.1.0.0	5							5	
27	რეკლამა	3	2.1.0.0	5					5			
<b>პროგრამის არჩევითი კურსები (20 კრედიტი - 4 კურსი)</b>												
	<b>არჩევითი კურსი - 1</b>	<b>3</b>	<b>2.1.0.0</b>									
1.1	კინოჟურნალიტიკა						5					
1.2	ეკონომიქსი											
	<b>არჩევითი კურსი - 2</b>	<b>3</b>	<b>2.1.0.0</b>									
2.1	სტატისტიკა						5					
2.2	საგამომცემლო საქმე											
	<b>არჩევითი კურსი - 3</b>	<b>3</b>	<b>2.1.0.0</b>						5			
3.1	გაზეთის ენა და სტილი											
3.2	ფოტოჟურნალისტიკა											
	<b>არჩევითი კურსი - 4</b>	<b>3</b>	<b>2.1.0.0</b>							5		
4.1	ჟურნალისტიკის ელემენტები											
4.2	საზოგადოებრივი ურთიერთობები											
	<b>თავისუფალი კრედიტები</b>			<b>10</b>								<b>10</b>
	<b>დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები</b>			<b>60</b>			<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>
	<b>სულ</b>			<b>240</b>	<b>30</b>	<b>3</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

## 7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები

**კურსის კოდი: HLB0030**

**აკადემიური წერა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

სტილის რაობა, სტილისტიკის დარგები, ფუნქციური სტილი, სადა, ანუ პროზაული მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების სტილი, სადა მეტყველებისა და პოეტური მეტყველების სტილი. სტილის შექმნის ენობრივი რესურსები, სტილისტური ნორმის ცნება. ენობრივი ერთეულების პრაგმატული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები. სიტყვის ემოციური იერი, შეფასების მომენტი, სიტყვათა ხმარების სფერო, ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები. ენის ფრაზეოლოგიურ საშუალებათა სტილური ფუნქციები. ენის გამომხატველობითი საშუალებანი.

საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა ენა და სტილი.

**კურსის კოდი: SHB0020**

**ისტორიის მეცნიერების შესავალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ისტორია-როგორც მეცნიერება, საქართველოს ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილი, საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება, საქართველო-კავკასია და გარე სამყარო, უძველესი ადამიანის წარმოშობის პრობლემა და საქართველო. "დმანისელი ადამიანი"-პირველი ევრაზიელი. "დიდი კოლხური" კულტურა, მეფე აიეტი და აიეტიანები არგონავტები, ეგრის-კოლხეთის სახელმწიფო ძვ.წ VI-III საუკუნეებში, ქართლის(იბერიის) სახელმწიფოს წარმოშობა ძვ.წ IV-III საუკუნეებში, მეფე ფარნავაზი, ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება საქართველოში, ქრისტიანობის რთული და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისა და კულტურაში

საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, აფროევრაზიისა და მსოფლიო ისტორიის განუყოფელი და ორგანული ნაწილი

**კურსის კოდი: SGB0110**

**მასობრივი კომუნიკაციის შესავალი: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მასობრივი კომუნიკაციის არსი და მასმედიის ინსტიტუციური ბუნება; მასობრივი კომუნიკაციის პროცესი; კომუნიკატორი, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სუბიექტი; შეტყობინება, როგორც მასობრივი კომუნიკაციის შინაარსი; არხი, როგორც ტექნიკურ-კომუნიკაციური სისტემა; აუდიტორია და მასობრივი კომუნიკაცია; მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე მიმდინარეობები

**კურსის კოდი: SFB0530**

**ფილოსოფიის შესავალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ფილოსოფიის აზრი და წარმოშობა, ფილოსოფიის პერიოდიზაციის მოკლე მიმოხილვა, ფილოსოფია და მეცნიერება, ფილოსოფიის საგანი, მსოფლმხედველობის არსი და ტიპები, სამყარო და ადამიანი, ყოფიერების ფორმები, გონი და კულტურა, კანონზომიერების პრობლემა, კანონი და მისი ფუნქციები, ფილოსოფიის ძირითადი კატეგორიები, ფსიქიკა და ცნობიერება, შემეცნების თავისებურებანი, ფილოსოფიური ტერმინების, ცნებების და თეორიული მიმართულების ზოგადი დახასიათება, დეტერმინიზმის პრობლემა, მეტაფიზიკისა და დიალექტიკის თავისებურება, ადამიანის პრობლემა(ანთროპოლოგია), საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, პოლიტიკურ-სამართლებრივი სტრუქტურა, ერი და კაცობრიობა, ტექნიკური გაუვხობის პრობლემა.

**კურსის შესავალის წინაპირობა, შემდეგი კურსების ათვისება:** ზოგადი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დისციპლინების გათვითცნობიერება საშუალო განათლების დონეზე

**კურსის კოდი SWB0440**

**საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საგანი, მეთოდი, ლიტერატურა, საკითხის ისტორიოგრაფია, საერთაშორისო ურთიერთობანი და დოკუმენტები ანტიკურ ეპოქაში, საერთაშორისო ურთიერთობანი შუა საუკუნეებში, ახალი ერის- კაპიტალიზმის ხანის საერთაშორისო ურთიერთობანი კრომველი, ნაპოლეონი, ტალეირანი, მეტერნიხი, ბისმარკი, XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობანი. ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ვუდრო ვილსონი, ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, თეთჩერი.

**კურსის კოდი: SGB0170**

**ჟურნალისტიკის საფუძვლები: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ჟურნალისტიკის წარმოშობა და განვითარების ტენდენციები; პრესის თეორიები; ჟურნალისტიკა სოციალურ ინსტიტუტთა სისტემაში; ინფორმაციული საქმიანობა; ინფორმაციული მიდგომის ასპექტები; ჟურნალისტიკის ფუნქციები; ჟურნალისტიკის პრინციპები; ჟურნალისტიკა, როგორც მასობრივი ინფორმაციის სისტემა; ჟურნალისტური კვლევის მეთოდები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** მასობრივი კომუნიკაციის შესავალი

**კურსის კოდი: SGB0140**

**მედია მენეჯმენტი (სიტუაციურ სავარჯიშოთა გამოყენებით): ( 5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** მართვა და გადაწყვეტილების მიღება; გადაწყვეტილების მიღების რაობა და ტიპები და პროცესის შეზღუდულობა;

მენეჯმენტის ინსტრუმენტები;ლიდერი და სამუშაო ძალა, ლიდერობის მნიშვნელობა მენეჯმენტში; კულტურული თავისებურებებით გამოწვეული პრობლემები. მოტივაცია, პიროვნებათა მოტივირება; ჯგუფები და საერთო პრობლემები;მედიაორგანიზაციების გლობალური სტრუქტურა;ფორმალური და არაფორმალური მიდგომა; სიტუაციური მიდგომა და მასმედიის გლობალური სტრუქტურები;ტექნოლოგია და მომავალი;რეგულირება და თვითრეგულირება; სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილება;დაგეგმვა და მისი ეტაპები, სტრატეგიული დაგეგმვა საერთაშორისო

ბაზრებისათვის, ბაზრის შესწავლა და კვლევის პროცესი; მარკეტინგი და კვლევა, გამოყენებითი კვლევის სახეები მასმედიაში; ბიუჯეტის შედგენა და გადაწყვეტილების მიღება; მთავარი საბიუჯეტო გეგმისა და განყოფილებათა ბიუჯეტის შედგენა.  
**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:**

**კურსის კოდი: SGB0280**

**ქართული ჟურნალისტიკის ისტორია: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ქართული ჟურნალისტიკის საგანი და ამოცანები. მე-19 საუკუნის ქართული გამოცემების ანალიზი: გაზეთი „საქართველოს გაზეთი“, „ტფილისის უწყებანი“, „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, გ. ერისთავის „ცისკარი“. ივ. კერესელიძის „ცისკარი“ 1857-75 წლებში. ჟურნალი „გუთნის დედა“, ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, გაზეთი „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, ჟურნალები - „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“, „იმედი“. გაზეთები - „შრომა“, „თეატრი“. ჟურნალები - „მწყემსი“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“. გაზეთი „ცნობის ფურცელი“. მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნის ცენზურაგაუფლელი პრესის როლი. მე-19 საუკუნის დასასრულის პრესა მე-20 საუკუნეში. სოციალ-დემოკრატიული გამოცემები. სოციალ-ფედერალისტური პარტიის პრესა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესა. ანარქისტული მიმართულება და გლეხთა პრესა. უპარტიო გაზეთები. დარგობრივი პრესა. სატირულ-იუმორისტული ჟურნალისტიკა. ქართული ჟურნალისტიკა საბჭოთა პერიოდის პირველ წლებში. ქართული ჟურნალისტიკა 1926-28 წლებში, 1929-32 წლებში, 1933-41 წლებში. ქართული საფრონტო პრესა 1941-45 წლებში. ქართული ჟურნალისტიკა 1946-53 წლებში, 1953-85 წლებში. თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა 1985-2000 წლებში.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ჟურნალისტიკის საფუძვლები.

**კურსის კოდი: HLB0330**

**სტილისტიკა: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სტილის რაობა; სტილისტიკის დარგები; ფუნქციური სტილი; სადა ანუ პროზაული მეტყველებისა და მხატვრული მეტყველების სტილი; სადა მეტყველებისა და პოეტური მეტყველების სტილი; სტილის შექმნის ენობრივი რესურსები; სტილისტური ნორმის ცნება; ენობრივი ერთეულების პრაგმატული ფაქტორები; ლოგიკური აზროვნების კანონები; სიტყვის ემოციური იერი; შეფასების მომენტი; სიტყვათა ხმარების სფერო; ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები; ენის ფრაზეოლოგიურ საშუალებათა სტილური ფუნქციები; ენის გამომხატველობითი საშუალებანი

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ქართული ენის ორთოგრაფია და მართლმეტყველება

**კურსის კოდი: HLB0310**

**მართლმეტყველება (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** რელაქსაცია. სუნთქვის, არტიკულაციისა და რეზონანციის ორგანოების თვითმასაჟი. სუნთქვა-ბგერითი მეტყველების წყარო. არტიკულაცია-წარმოთქმა. სამეტყველო აპარატი და მისი მონაწილეობა წარმოთქმაში. ქართულ ბგერათა კლასიფიკაცია. მათი სწორი წარმოთქმა, დარღვევები, კორექცია. ბგერათა რიტმული გავარჯიშება. მეტყველების სახეები (აჩქარებული, ნელი, დუდუნა). აზრის გამოხატვის სამეტყველო საშუალებანი. სამეტყველო ხმა და მისი გავარჯიშება. სავარჯიშო ტექსტები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** მეტყველების კულტურა.

**კურსის კოდი: HLB0340**

**სტრატეგიული წერა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ჟურნალისტურ მასალებზე მუშაობის სტრატეგიული ხერხების განსაზღვრა; ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალებზე მუშაობის თავისებურებების შესწავლა; ექსტრემალურ პირობებში წერის მეთოდების გაცნობა; რესპონდენტებთან მუშაობის თავისებურებების ხერხების შესწავლა; ჟურნალისტური მასალის მოძიების მეთოდების გაცნობა, ჟურნალისტური ნორმებისა და ეთიკის როლის გათვალისწინების შესწავლა მასალაზე მუშაობის პროცესში; მასალის მომზადებისას სწრაფად მუშაობისა და წერის მეთოდების შესწავლა;

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ჟურნალისტიკის საფუძვლები

**კურსის კოდი: HGB0300**

**ქართული ლიტერატურა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** XX ს-ის ქართული მწერლობის პერიოდიზაცია; ლიტერატურული დაჯგუფებანი (10-20-იანი წლები); ლიტერატურული პრესა (ლიტერატურულ დაჯგუფებათა პერიოდული გამოცემები, მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანოები, „მნათობი“, „ცისკარი“, „კრიტიკა“, „საუნჯე“ და სხვ.); დავით კლდიაშვილის შემოქმედების უმთავრესი ტენდენციები და პუბლიცისტიკა; ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების უმთავრესი ტენდენციები, ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; გრ. რობაქიძის შემოქმედების უმთავრესი ტენდენციები, და მხატვრული პუბლიცისტიკა; იოსებ გრიშაშვილის პოეზიის ძირითადი თავისებურებანი, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; მ. ჯავახიშვილის შემოქმედების უმთავრესი ტენდენციები, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; ცისფერყანწელთა პოეზიის ძირითადი თავისებურებანი, მათი რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და მხატვრული პუბლიცისტიკა; გ. ლეონიძის პოეზიის ძირითადი თავისებურებანი, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; კ. გამსახურდიას შემოქმედების ძირითადი თავისებურებანი, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; გ. ტაბიძის პოეზიის ძირითადი თავისებურებანი, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; ს. ჩიქოვანის პოეზიის ძირითადი თავისებურებანი, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; კ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები, რედაქტორულ-ჟურნალისტური საქმიანობა და პუბლიცისტიკა; ქართული მწერლობა 60-იან წლებში, მხატვრული პუბლიცისტიკა; ქართული მწერლობა 70-იან წლებში, მხატვრული პუბლიცისტიკა; ქართული მწერლობა 80-იან წლებში, მხატვრული პუბლიცისტიკა; ქართული მწერლობა თანამედროვე ეტაპზე.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:**

**კურსის კოდი: SGB0070**

**ინფორმაციული ჟურნალისტიკა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ჟურნალისტიკის ინფორმაციული ჟანრების შესწავლა; შენიშვნის, საინფორმაციო კორესპონდენციის, რეპორტაჟის, რადიორეპორტაჟის, კინო და ფოტორეპორტაჟის, საინფორმაციო ინტერვიუს, ინფორმაციული ანგარიშის, ნეკროლოგის, მიმოხილვის, ანგარიშის თეორიული და პრაქტიკული შესწავლა; ჟურნალისტიკის ინფორმაციულ ჟანრებზე მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გაცნობა; ოცდამეერთე საუკუნეში ჟურნალისტური ჭეშმარიტების ძიების მეთოდების განსაზღვრა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** მასკომუნიკაციის შესავალი.

**კურსის კოდი: SGB0010**

**ანალიტიკური ჟურნალისტიკა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ჟურნალისტიკის ანალიტიკური ჟანრების შესწავლა; სტატიისა და მისი სახეების, რეცენზიისა და მისი სახეების, კრიტიკის, წერილის, მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრების, ესსესა და მისი სახეების, ანალიტიკური კორესპონდენციის, კომენტარის, ანალიტიკური ინტერვიუს, ანალიტიკური მიმოხილვის, ნარკვევისა და მისი სახეების, საუბრის, პროგნოზის, სატირულ-იუმორისტული ჟანრების (ეპიტაფია, ანეკდოტი, ფელეტონი, პაროდია, პამფლეტი), ლეგენდის, ეპიგრაფის თეორიული და პრაქტიკული შესწავლა; ჟურნალისტიკის ანალიტიკურ ჟანრებზე მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გაცნობა; ოცდამეერთე საუკუნეში ანალიტიკური ჟურნალისტიკის როლისა და მნიშვნელობის გაცნობა-ანალიზი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ინფორმაციული ჟურნალისტიკა.

**კურსის კოდი: SGB0050**

**დებატები (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** რა არის დებატები; კამათის ოთხი ნაირსახეობა, კორექტული და არაკორექტული ელემენტი კამათში; კამათის მტკიცებითი და უარყოფითი მხარე; ჯვარედინი დაკითხვა; ლოგიკის კანონები და კამათის ხელოვნება; კითხვა და მისი როლი კამათის ხელოვნებაში; ფასეულობათა დებატი და პოლიტიკური დებატი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ჟურნალისტიკის საფუძვლები.

**კურსის კოდი: SGB0040**

**დასავლური მედია( 5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ბრიტანეთის პრესა, შვეციის მასმედია, კანადის საინფორმაციო საშუალებები, პრესის საყოველთაოდ აღიარებული კონცეფციები, ჟურნალისტთა საერთაშორისო დეკლარაცია, ბი-ბი-სი-ს რადიო და ტელევიზია, აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოები, საფრანგეთის პრესა, რადიო და ტელევიზია, მონოპოლია და პრესა, ჟურნალი “ფორბსი”, სი-ენ-ენი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, პუბლიცისტისტიკა.

**კურსის კოდი: SGB0150**

**პროფესიული ეთიკა (კრედიტი 5)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ეთიკის ზოგადი არსი, საავტორო უფლებები, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაცია, მედიაპროდუქცია – განგაშის წყარო, ჰუმანიზმის პრინციპი, სიმართლის მთქმელობის პრინციპი, ჭეშმარიტების დონეები ჟურნალისტურ შემეცნებაში, პუნქტუალობის საკითხი ჟურნალისტიკაში, შავი და თეთრი პი-არი ჟურნალისტიკაში, პირადი ცხოვრების საკითხები ჟურნალისტიკაში, “ნიუ-იორკ ტაიმსის “ ეთიკის კოდექსი, პროპაგანდა და მისი დევიზები (ჯონ მერილის პრინციპების მიხედვით, , კანონი ცილისწამების შესახებ ამერიკაში და საქართველოში, თვითრეგულირების სისტემები, ევროპაში მოქმედი ეთიკის კოდექსების მიკვლე ანოტაცია,

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:**

**კურსის კოდი: SGB0200**

**რედაქტირება [5 კრედიტი]**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ლიტ. რედაქტირების საგანი და ამოცანები, რედაქტორის დამოკიდებულება ავტორის სტილისადმი, შესწორების სახეობანი, სათაურების რედაქტირება, დედნის კომპოზიციაზე მუშაობა, დედნის ენასა და სტილზე მუშაობა, ფაქტობრივ მასალაზე მუშაობა, ცხრილური მასალის რედაქტირება, წიგნის აპარატზე მუშაობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:**

**კურსის კოდი: SGB0160**

**პუბლიცისტიკა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პუბლიცისტიკის როლი თანამედროვე მასმედიაში; ჟურნალისტიკის 7 ცოდვისა და 10 მცნების შესწავლა, ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების ეტაპების გაცნობა, ჟურნალისტიკის არსებობის აუცილებლობის ძირითადი მიზეზების განხილვა, პუბლიცისტიკის მორალური ღირსებების განსაზღვრა, თანამედროვე ქართველი და უცხოელი პუბლიცისტების შემოქმედების შესწავლა; აკაკი ბაქრაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, თამაზ წიგწივადის, კირილე ლორთქიფანიძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილისა და სხვათა პუბლიცისტური წარღების გაცნობა; მარკესის პუბლიცისტიკის შესწავლა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ინფორმაციული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა; ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.

**კურსის კოდი: SGB0250**

**სტუდენტური ჟურნალი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სტუდენტური ჟურნალის მომზადება; საჟურნალე მასალებზე მუშაობის სპეციფიკის გაცნობა; ჟურნალის დაგეგმვა; მასალების შერჩევა; ჟურნალისტური მასალების მოძიების გზებისა და ხერხების გაცნობა; რესპონდენტების მოძიებისა და მათთან მუშაობის მეთოდების შესწავლა; ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალებზე მუშაობა; კითხვების დამუშავება; ჟურნალისტური ეთიკის როლის განხილვა-ანალიზი მასალაზე მუშაობის პროცესში; ჟურნალის ნომრის დაკაბადონება და კორექტურა;

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ინფორმაციული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა; სტუდენტური გაზეთი.

**კურსის კოდი: SGB0240**

**სტუდენტური გაზეთი (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** გაზეთის სპეციფიკის გაცნობა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დანიშნულება და მიზანი, სტატისტიკის არსი, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, მასალების დაგეგმვა, გაზეთის სახელქოდებისა და მიმართულების ჩვენება, სტატიათა მომზადება, ჟანრობრივი დახვეწა, შრიფტის საკითხის გარკვევა, რედაქტირება, დაკაბადონება, რუბრიკათა განლაგება, გაზეთის გამოშვება, ნომრის ანალიზი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** ლიტერატურული რედაქტირება, პუბლიცისტიკა, პრესის ენა და სტილი, გაზეთის წარმოება

**კურსის კოდი: SGB0190**

**რადიოჟურნალისტიკა. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** რადიომაუწყებლობის ადგილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში. რადიოჟურნალისტიკის საზოგადოებრივი დანიშნულება. რადიოჟურნალისტიკის კომუნიკაციური თვისებებები. რადიოს გამოსახვითი საშუალებანი. რადიოპუბლიცისტიკის ჟანრები და ფორმები. ინფორმაციის პერსონიფიკაციის მნიშვნელობა რადიოპუბლიცისტიკაში. რადიოჟურნალისტიკის პროგრამული სტრუქტურა. რადიოპროგრამა როგორც სისტემა და მისი კლასიფიკაციის ასპექტები. მრავალპროფილიანი და ფორმატული რადიომაუწყებლობის პროგრამირების პრინციპები. სამაუწყებლო ახალი ამბების მნიშვნელობა. შიდა მაუწყებლობის სახეობები საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში. საზღვარგარეთული რადიოპროგრამების ძირითადი მიმართულებანი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ბეჭდური მედია.

**კურსის კოდი: SGB0260**

**ტელეჟურნალისტიკა. (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ტელევიზიის ადგილი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემაში. თანამედროვე ტელევიზიის ძირითადი მიმართულებანი. თანამედროვე ტელევიზიის ბუნება. ტელეპროგრამა როგორც სისტემა და მისი კლასიფიკაციის ასპექტები. ტელეპუბლიცისტური ნაწარმოებების ფორმები. ტელევიზიის გამოსახვითი საშუალებანი. გამოსახულებისა და სიტყვის თანაფარდობა ტელევიზიაში. სატელევიზიო პერსონაჟები: კომენტატორი, მიმომხილველი, ინტერვიუერი, შოუმენი, მოდერატორი. ინტერვიუს სპეციფიკა ტელევიზიაში. რეპორტაჟის სპეციფიკა ტელევიზიაში. საზღვარგარეთული ტელევიზიის ძირითადი მიმართულებანი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ჟურნალისტიკის საფუძვლები.

**კურსის კოდი: SGB0230**

**სამაუწყებლო ახალი ამბები**

**სამაუწყებლო ახალი ამბები(5კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**სამაუწყებლო ახალი ამბების მომზადება და გადმოცემა სპეციფიკა (გადაცემის დრო, სრულიად საიდუმლო, "იხვეები"), სოციალური რეკლამა, მიმოხილვა, ხალხის ხმა, სპორტი და კულტურა სამაუწყებლო ახალ ამბებში. სამაუწყებლო ახალი ამბები რეგიონულ მედიაში. ახალი ამბების არხის სახე, რატომ ვუყურებთ ახალ ამბებს, ახალი ამბების პროგრამის სტრუქტურა და დიზაინი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:**

ტელერადიოჟურნალისტიკა, იმფორმაციული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა

**კურსის კოდი: SGB0090**

**კონფლიქტოლოგია და ჟურნალისტიკა: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები; შეიარაღებული კონფლიქტის ცნება (კომბატანტი და „მფარველობის ქვეშ მყოფი პირები“); ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები; ჟურნალისტიკის დაცვა კონფლიქტის დროს; განსაკუთრებული სტატუსი ჟურნალისტებისათვის; საომარი მოქმედების დროს უშუალო საფრთხის პირისპირ მყოფი ჟურნალისტი; მოწინააღმდეგის ხელში მყოფი ჟურნალისტების მდგომარეობა; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ჟურნალისტების საქმიანობა

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** პოლიტოლოგია.

**კურსის კოდი: SGB0210**

**რეკლამა: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** რეკლამის საფუძვლები და მიზნები, რეკლამის ფუნქციები; სარეკლამო სააგენტოები; რეკლამის ევოლუცია, ბეჭდვის ერა; საზოგადოება და რეკლამა, სარეკლამო ეთიკა, რეკლამა და უფლება, კავშირგაბმულობის ფედერალური კომისია და თვითრეგულირება; რეკლამა და მარკეტინგული პროცესი, სარეკლამო სააგენტოები, სპეციალიზირებული სააგენტოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სარეკლამო სივრცის შესყიდვა; რეკლამისა და მარკეტინგული კომუნიკაციის ტენდენციები. რეკლამის ინფორმაციის გავრცელების საშუალებები, რეკლამის საშუალებების დაგეგმარების ფუნქციები; სარეკლამო საშუალებების წყაროები, სარეკლამო საშუალებების დაგეგმარება-ამოცანის წამოჭრა; სარეკლამო საშუალებების შესყიდვა, რეკლამის განმათავსებლის ამორჩევა და მოლაპარაკებების წარმოება; რეკლამის შემოქმედებითი მხარე; ბეჭდვური რეკლამის შექმნა; ბეჭდვური რეკლამის ტექსტი, დიზაინი და წარმოება; რადიო და სატელევიზიო რეკლამის შექმნა; სატელევიზიო რეკლამის დაგეგმარება და წარმოება; რადიორეკლამა მიმართვის სტრატეგია, რადიოტექსტი და ინსტრუმენტები, რადიორეკლამის წარმოება; გაზეთები და რეკლამის სტრუქტურა, რეკლამა გაზეთში, გაზეთების უპირატესობა; ჟურნალები და რეკლამა; ტელევიზიის სტრუქტურა; რადიოს სტრუქტურა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** დასავლური მედია

**კურსის კოდი: SGB0081**

**კინოჟურნალისტიკა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**კინოს ისტორიის საკითხები ეპოქებისა და მიმდინარეობების მიხედვით; ცალკეული ქვეყნების კინემატოგრაფიული ტრადიციები:ამერიკული კინო, იტალიური კინო, ფრანგული კინო, გერმანული კინო,რუსული კინო; ქართული კინოს ისტორია; ფილმის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტები; ფილმის ანალიზის საწყისები;; კინოს თეორიის ზოგადი ასპექტები; მსოფლიოში არსებული ცნობილი კინოჟურნალების: „ Cahier du cinema“, „Искусство Кино“, „Киноведческие записки“, „Premiere“ და ა.შ. დაარსებისა და განვითარების ისტორია; ცნობილ ავტორთა კრიტიკულ წერილები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ კინოკრიტიკული ტრადიციები.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ჟურნალისტიკის საფუძვლები

**კურსის კოდი SEB0161**

**ეკონომიკა (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ეკონომიკა და მისი პრობლემები; საბაზრო სისტემა, ინდივიდუალური ბაზრები და მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი; ეროვნული ეკონომიკა, როგორც მაკროეკონომიკური სისტემა; კერძო და სახელმწიფო სექტორები ეკონომიკაში; სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური როლი. ერთობლივი ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავლები; ფისკალური პოლიტიკა, ფინანსები და სახელმწიფო ბიუჯეტი; ცენტრალური (ეროვნული) ბანკები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური პროგრესი; ინფლაციის და უმუშევრობის ურთიერთკავშირი; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მისი ძირითადი ფორმები; ბაზრების არსი და ფორმები; კონფერენციის არსი, კონკურენციული ბრძოლა; წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია; ინვესტიციების არსი და საინვესტიციო გარემო; მსოფლიო გლობალური პრობლემები და საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში; ეკონომიკური კრიზისის არსისა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:**

**კურსის კოდი SEB0801**

**სტატისტიკა (5 კრედიტი).**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდი; სტატისტიკის შესწავლის ამოცანები; დაკვირვების ხერხის გამოყენება სოციოლოგიურ გამოკვლევებში; საინფორმაციო ბაზისა და მისი საიმედოების უზრუნველყოფის საკითხები; თავმოყრა-დაჯგუფების სახეები და მეთოდები; დაჯგუფების ნიშნები და სოციოლოგიურ გამოკვლევათა კლასიფიკაცია; სტატისტიკური ცხრილების შედგენა და გრაფიკების გამოყენება; აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები; ხარისხობრივი და სტრუქტურული საშუალოები; მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლის სტატისტიკური ხერხები; მოვლენათა განვითარების დინამიკური ანალიზი და პროგნოზირების საკითხები; შერჩევითი დაკვირვება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:**

**კურსის კოდი: SGB0221**

**საგამომცემლო საქმე (5 კრედიტი )**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პრესის კონცეფციები, ბიზნეს-გეგმა, ლიდერები და მენეჯერები, საბაზრო გარემოს კლასიფიკაცია, ორგანიზაციის აღწერა, სამარკეტინგო გეგმა, შრომის ორგანიზაცია, შრომითი რესურსები, კომუნიკაცია, სამუშაოს აღწერილობა.  
**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** გაზეთი, პრესა, მედიამენეჯმენტი

**კურსის კოდი: SGB0021**

**გაზეთის ენა და სტილი: (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ტექსტის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, გრამატიკული და სტილური რეკომენდაციები; სტილისტიკის მიმართება გრამატიკასა და ენათმეცნიერების სხვა დარგებთან, ენისა და სტილის დახვეწა-სრულყოფის საფუძველი; დეტალების გაფორმების და გამომსახველობით საშუალებათა მრავალფეროვნების პრინციპი; ლექსიკური შტამპები გაზეთში, ენობრივ საშუალებათა მომარჯვება; საგაზეთო მასალების სინტაქსური გაუმართაობის ზოგიერთი საჭირობოროტო საკითხი, სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში სიტყვათა განლაგებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში; მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ტექსტის საერთო სტილთან ყოველი სიტყვის და ფრაზის შესაფერისობის პრინციპი; სიტყვათა საწარმოებლად გამოყენებული საშუალებანი; ავტორის ენაზე დაკვირვება; პარონიმების, სინონიმების, ანტონიმების და უცხოური სიტყვების გამოყენება თანამედროვე პრესის ფურცლებზე; სიტყვის სემანტიკური აგებულება, ტერმინი, სიტყვის გამოყენება შედარებისას; გადატანითი ხმარება და პოლისემია; სიტყვის მნიშვნელობის „გაფართოების“, „დავიწროების“ და „პოლარიზაციის“ საკითხი; პუბლიცისტური ფუნქციური სტილი და მისი თავისებურებანი გაზეთში; საგაზეთო –პუბლიცისტური სტილის განსაზღვრება; ჟანრების შესაფერისობის პრინციპი; საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის მაწარმოებელი ნიშნები; ექსტრალინგვისტური ფაქტორები და ჟანრები გაზეთში; ენის სიცხადისა და ხატოვანების უზრუნველყოფის სიმძლავრე გაზეთში; საგაზეთო პუბლიცისტური სტილის ლინგვისტური ინდივიდუალობის შესახებ.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება:** ინფორმაციული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა.

**კურსის კოდი SGB0271**

**ფოტო ჟურნალისტიკა(5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ფოტოგრაფიის განვითარების დინამიკა, შავთეთრი და ფერადი ფოტოგრაფია, ციფრული ბექჟაი, როგორც ფოტოგრაფიის ახალი ეტაპი, მხატვრული ფოტო, პორტრეტი, ფოტომბავი, ფოტოილუსტრაცია, ფოტორედაქტირება, პროფესული ეთიკა.

**კურსის შესწავლის წინაპირობა:** ინფორმაციული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა.

**კურსის კოდი SGB0181**

**ჟურნალისტიკის ელემენტები(5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ჟურნალისტიკის დანიშნულება, უმთავრესი ჟურნალისტური პრინციპები, ჟურნალისტიკა და საზოგადოება, ჟურნალისტიკის დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებთან, გადამოწმების ფაქტორის აუცილებლობა ჟურნალისტიკაში, ხელისუფლების კონტროლი, ჟურნალისტიკა, როგორც სახალხო ფორუმი, ჟურნალისტიკის პირადი პასუხისმგებლობა, თემის აქტუალობა და გაშუქების აქტუალობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობა:** ჟურნალისტიკის საფუძვლების შესწავლა

**კურსის კოდი: SGB0291**

**საზოგადოებრივი ურთიერთობები ( 5 კრედიტი )**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** პი-არი-ს არსი, მისი წარმოშობის ისტორია, პი-არი და რეკლამა, პი-არი და პროპაგანდა, საზოგადოებრივი ინტერესი და პი-არი, შავი და თეთრი პი-არი. პი-არ ტექნოლოგიები, ხერხები და მეთოდები, პი-არ ჯგუფები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები და პი-არ განყოფილებები რედაქციებსა და საინფორმაციო საშუალებებში.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** რეკლამა, მედია მენეჯმენტი,

**უცხო ენა 1 (ინგლისური HEB0390 , გერმანული HFB0870, ფრანგული HFB1130, რუსული HSB0520 ) (3 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აბზაცის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აბზაცების სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

**უცხო ენა 2 (ინგლისური HEB0530, გერმანული HFB0890, ფრანგული HFB1140, რუსული HSB0540 ) (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: **წერაში** სტუდენტი შეისწავლის ესსეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აბზაცების სპეციფიკას, ესსეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. **კითხვაში** სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. **მოსმენაში** სტუდენტი განივითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. **საუბარში** სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება.

**კურსის შესწავლის წინაპირობა** კურსი უცხო ენა I(ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

**უცხო ენა 3 (ინგლისური HEB0540, გერმანული HFB1050, ფრანგული HFB1150, რუსული HSB0590) (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის კომპლექსურ სწავლებას. სწავლების ამ დონეზე ხდება წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის უკვე არსებული უნარ-ჩვევების ინტეგრირება და მათი დახვეწა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლასა და დარგობრივი ტექსტის დამუშავებაზე. ამავე ეტაპზე ხდება პრესის ენის შესწავლა და დარგობრივი სამეცნიერო სტატიების დამუშავება.

**კურსის შესწავლის წინაპირობა** კურსი უცხო ენა 2 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

**უცხო ენა 4 (ინგლისური HEB0550, ფრანგული HFB1160, გერმანული HFB0920, რუსული HSB0600) (5 კრედიტი)**

**კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:** კურსი ითვალისწინებს უცხო ენის მიზნობრივ სწავლებას, უცხოენოვან კოლეგებთან საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა და დარგობრივ ტექსტზე მუშაობას. ამავე ეტაპზე ხდება უცხოური პრესის მიმოხილვა, პრესის ენის შესწავლა და დარგობრივი სამეცნიერო სტატიების დამუშავება. დარგისთვის დამახასიათებელი ბეჭდური თუ ონლაინ მასალების მოგროვება-შესწავლა. აქტენტი კეთდება უცხოენოვანი სტატიის წერის პრინციპებზე.

**კურსის შესწავლის წინაპირობა** კურსი უცხო ენა 3 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)

## 8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.